

# ახალი აღქმა

საზოგადოებრივი სტუდია

## სანდრო გვინდაძე



# როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ანიმაცია და კომიქსები აღამიანის უფლებების გაგებაში

### სანდრო გვინდაძე: „შესაბამისი შინაარსისა და ფორმის ანიმაციებს ზეგავლენა ნებისმიერი ასაკის მაცურებელზე შეუძლიათ“

„როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია სამყაროს შეცვლა კარგი იდეებისა და კამპანია ვიზუალის მეშვეობით? ჩვენ ამის გვენამს! ჩვენ ფსონს ვდებთ ახალ, შემოქმედებით მიღგომაზე, იდეებისა და რესურსების მიმოცვლაზე, ერთი შეხედვით, ისეთ განსხვავებულ სფეროებს შორის, როგორც კულტურა, ხელოვნება, უფლებადამცველი საქმიანობა და განათლება“, — ასე გამოიყურება იმ ორიგინალური პროექტის მანიფესტი, რომელსაც საქართველოში ანიმაციებისა და კომიქსების არაფორმალური სწავლებისთვის გამოყენება აქვს მიზნად დასახული. არასამთავრობო ორგანიზაცია „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ცენტრი“ 2014 წლიდან ახორციელებს პროექტს, რომელიც არაფორმალურ განათლებაში კრეატიული ინსტრუმენტების პოპულარიზაციას ცდილობს. პროექტის მენეჯერმა სანდრო გვინდაძემ უკვე სცადა სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის იმის ახსნა, რომ ანიმაცია და კომიქსები აღამიანის უფლებების უკეთ გაგებაში შეიძლება დაგვეხმაროს. **სანდრო გვინდაძე** „ვერსიას“ ახლადწამოწყებულ, საკმაოდ უჩვეულო და კრეატიულ პროექტთან დაკავშირებით ესაუბრება.

— არაფორმალური სწავლება რთული საკითხების გასათავისებლად წარმატებულ მეთოდადაა მიჩნეული. სირთულის რომელ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ აღამიანთა უფლებების თემატიკა, როცა საქმე სკოლის მოსწავლეთან გვაქვს? საკუთარი გამოცდილებიდან რა დასკვნა გამოიტანე, უჭირთ ბავშვებს ამ სფეროში „კარგისა“ და „ცუდის“, „სწორისა“ და „არასწორის“ გარჩევა? — ისე, „კარგისა“ და „ცუდის“, „სწორისა“ და „არასწორის“ გარჩევა უფროსებს რომ გვიჭირს ხოლმე, ისეთი უნდა. რაც შეეხება აღამიანის უფლებებს, მას, ვინც ამ ორ სიტყვას არასდროს ჩაღრმავებია, მათი შინაარსის გააზრება თავდაპირველად, შესაძლოა, გაუჭირდეს. აღამიანის უფლებების შეთანხმების საგანია და მხოლოდ კონკრეტული შეთანხმების საფუძველზე არსებობს, აღამიანის უფლებები ვერტიკალურია, ანუ არეგულირებს მხოლოდ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს — სწორედ ამის გააზრება უჭირთ ტრენინგების მონაწილეებს ყველაზე ხშირად და ბავშვები, ამ მხრივ, ნამდვილად არ წარმოადგენენ გამოწვევას.

— ნათელია, რომ ანიმაციები აღამიანზე გარკვეულ ასაკში საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. შენ, შეიძლება ითქვას, ამ გავლენის დადებითად გამოყენებას ცდილობ. თუ არსებობს უარყოფითი მეთოდები და ამით გამოწვეული შედეგები, რომლებიც გახსენდება?

— დასაწყისისათვის, მინდა აღვნიშნო, რომ შესაბამისი შინაარსისა და ფორმის ანიმაციებს ზეგავლენის მოხდენა ნებისმიერი ასაკის მაცურებელზე შეუძლია. წარმოდგენა, რომ ანიმაციები და კომიქსები, პირველ რიგში, ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, მცდარია. ანიმაცია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მედია, ცდილობს, მაცურებელთან ემოციური კავშირი დაამყაროს. მაცურებელი უნდა უთანაგრძნობდეს პერსონაჟებს, რაც ავტომატურად, ანიმაციაში მოთხრობილ ისტორიასთანაც აკავშირებს. ის ანიმაციები, რომლებსაც ჩვენი პროექტების ფარგლებში ვიყენებთ, სპეციალურად არაფორმალური განათლების სფეროსთვისაა შექმნილი. ისინი სწორედ იმაზე გათვლილი, მაცურებელში ემოციური რეაქცია გამოიწვიოს და ჯგუფში დისკუსიის პროვოცირებას შეუწყოს ხელი. მთავარი ნეგატიური ზეგავლენა ის შეიძლება იყოს, რომ მაცურებელი ანიმაციის ხილვის შემდგომ ემოციებისგან დაცლას ვერ მოახერხებს. შესაბამისად, ტრენინგის სქემის აგებისას, უმნიშვნელოვანესია, რომ მონაწილეთა რეაქციისათვის სათანადო დრო დაეთმოს.

— საკუთარი ბავშვობიდან რომ მოიყვანო მაგალითი, გახსენდება თუ არა ნებისმიერი სახის „ეგზისტენციალური საკითხი“ ან ღირებულება, რომელზეც ანიმაციამ/კომიქსმა დაგაფიქრა, რამე მნიშვნელოვანს მიგახვედრა, შენს აზროვნებაში რადიკალური ცვლილებები შეიტანა?

— პირველ რიგში, მახსენდება დისნეის „მეფე ლომი“, რომელმაც იმაზე დაგაფიქრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, გაუსწორო თვალი იმას, ვინც სინამდვილეში ხარ და მიიღო საკუთარი თავი. კიდევ გონებაში აღმებეჭდა „აღამიანი ობობა“ და ბიძამისის სიტყვები, რომ დიდ ძალას დიდი პასუხისმგებლობა მოაქვს. კომიქსების კითხვის ბედნიერება, ბავშვობაში, სამუხაროდ არ მქონია, თუმცა ანიმაციების წყალობით ისეთი გმირები, როგორებიც არიან სუპერმენი, ბეტმენი, რკინის კაცი, კაპიტანი ამერიკა და სხვები, ბავშვობიდანვე გავიცანი.

— როგორც ვიცი, უკვე ჩაატარე ტრენინგი ამ თემასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს და ნებართვა მათი მშობლებისგან აიღე. შენი აზრით, რამდენად სერიოზულად აღიქვამენ მშობლები სწავლების ამგვარ მეთოდს, როგორი იყო მათი რეაქცია, როდესაც ტრენინგის არსი აღუწერე?

— რეაქციები ყოველთვის განსხვავებულია, როგორც მშობლებს, ისე მასწავლებლებს შორის. ზოგს აღამიანის უფლებების თემატიკა, არც მეტი, არც ნაკლები, აღიზიანებს. ხანდახან ძალიან სასაცილოც კია, მაგ დროს შეთქმულების თეორიასა და მათი შვილების დაჩივებზე რომ გინყებენ საუბარს. ზოგ დირექტორს კი პირდაპირ უთქვამს, რომ მსგავსი აქტივობებით მოსწავლეებში ნიჰილისტურ განწყობას ვწერ-გავთ და ეს სასწავლო პროცესზე ნეგატიურად აისახება. ზოგი მასწავლებელი კი ანიმაციებს ბავშვებში აგრესიის წყაროდ მიიჩნევს. აქაოდა, იმიტომ ჩხუბობენ და საქმეებს იმიტომ არ-ჩვენ, რომ ამისკენ მულტიმედია უბიძგებთო. ასეთ დროს უბრალოდ ჯობია გაუღიმო და განერიდო და სხვა გზები ეძებო ამ აუდიტორიაში შესასვლელად. თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, „მულტიმედიის ყურებაში“ მშობლების უმეტესობა ცუდს ვერაფერს ხედავს. ჩაკეტილ თემებში კი ანიმაცია ლამის ერთადერთი გზაა ხოლმე აუდიტორიასთან მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ. მაგალითისთვის გამოდგებიან ჩემი კოლეგები, რომლებსაც ჩვენთვის სკოლებში უწევთ მუშაობა.

— რა ფორმალური პლატფორმა გააჩნია დღეს საშუალო სტატუსის ქართულ მოსწავლეს იმისთვის, რომ სკოლის პერიოდში მიიღოს ცოდნა აღამიანთა უფლებებზე, უნივერსალურ ღირებულებებზე?

— ფიქრობ, ერთ-ერთ პლატფორმად უკვე შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი პროექტის, HUMRA-s (Human Rights Animation) ვებ-გვერდი <http://humra.org>, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება, იპოვოს ანიმაციები, სახელმძღვანელოები ამ ანიმაციებთან სამუშაოდ და ასევე სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღამიანის უფლებების თაობაზე. გარდა ამისა, ასევე შესაძლებელია პროექტის გუნდთან დაკავშირება და მისი მოწვევა ტრენინგის, ან მასტერ-კლასის ჩასატარებლად.

— როგორ ფიქრობ, რამდენად აქვს პერსპექტივა ამ არაფორმალური სწავლების მეთოდს, ოდესმე იქცეს ფორმალურად, ანუ ოფიციალურად შევიდეს განათლების პროგრამაში (სკოლებში ან თუნდაც უნივერსიტეტებში)?

— იმ ვითარებაში ვართ, როდესაც ჩვენი სურვილები და რეალური სურათი ძალიან შორს დგას ერთმანეთისგან. შეგვიძლია გავიხსენოთ ის დავიდარაბა, რომლებიც სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოებად „კომპასისა“ და „კომპასიტოს“ შემოღებას ახლდა. ასე რომ...



— შენი აზრით, რამდენად წარმატებული იქნება პროექტი საქართველოში და ტრენინგებისა თუ ლექციების ჩატარების გარდა კიდევ რის გაკეთებას ეგემათე მომავალში?

— ჩვენს ორგანიზაციას, „მედიას ინოვაციების ფონდს“ დიდი გეგმები აქვს არაფორმალური განათლების სფეროსთან მიმართებით. ჩვენმა გამოცდილებამ უკვე აჩვენა, რომ კომიქსებისა და ანიმაციების გამოყენება ძალზედ ეფექტურია. ამიტომ, გვსურს მათ პოპულარიზაციაზე ვიმუშაოთ. ანიმაციებისა და კომიქსების გარდა, ასევე გვსურს აქტიურად გამოვიყენოთ სხვადასხვა თამაშები, რომელიც მონაწილეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს.

## პერსონალიზი

### „სირკის მოღვაწეთა კავშირი“ მთავრობას დაფინანსების ნუსხაში უყვანის მოთხოვნით მიმართავს



მიიღოს კანონი ქართული საციკო ხელოვნების შემდგომი განვითარება-პოპულარიზაციისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ: „ეს კანონი თუ არ მიიღეს არაფერი ეშველება ქართულ საციკო ხელოვნებას. ქართული დასი არსებობს, რომელსაც წელს 60 წლის იუბილე უსრულდება. ჩვენ მივმართეთ წინა მთავრობასაც და დღევანდელსაც. ვერაფერს მივალნივთ. შარშან თბილისობაზე უნდა მიგველო მონაწილეობა. თბილისობის რეჟისორი იყო პაატა ციკოლია. მან დაგვიბარა, წარვუდგინეთ ხარჯთაღრიცხვა და ორი დღით ადრე ამოგვიღეს სიიდან. ვისი გადაწყვეტილებით მოხდა ეს, უცნობია, არ გვეუბნებიან“.

ხარატიშვილის თქმით, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს ია მაქაცარიას და განათლების მინისტრის მოადგილეს ლია გიგაურს „ალერგია აქვთ ქართული ცირკის გაგონებაზეც კი. ჩვენს მსახიობებს არ უშვებენ არც სკოლებში, არც საბავშვო ბაღებში, რომ თავი გამოიჩინონ, ხელს გვიშლიან მუშაობაში“.

„საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირი“ მთავრობას დაფინანსების ნუსხაში შეყვანის მოთხოვნით მიმართავს. კავშირის დამფუძნებლის, გოჩა ხარატიშვილის განცხადებით, ქართული ცირკი დღეს საქართველოში არ არსებობს და კავშირიც სწორედ იმიტომ ჩამოაყალიბდა, რომ ქართული საციკო ხელოვნება საბოლოოდ არ დასამარდეს: „მე უწრანლისტი ვარ, ქართული „სირკის მოღვაწეთა კავშირი“ ჩემი ინიციატივით 2014 წლის 25 დეკემბერს ჩამოვყალიბე, რათა ქართული საციკო ხელოვნება მთლიანად არ დასამარებულყო, მაგრამ ვერაფერს მივალნივთ. დღემდე ვიბრძვით, ხელისუფლებას მივანვდინოთ ხმა, რომ ქართული ცირკი შეიყვანონ დაფინანსების ნუსხაში, მაგრამ ვერანაირად. დასმარების მაგივრად ხელს გვიშლიან“.

ხარატიშვილის თმით, ორი წლის განმავლობაში ცნობილი მსახიობების შიმშილით გარდაცვალების სუთი ფაქტი დაფიქსირდა: „ამას ყურადღებას არავინ აქცევს. არც კულტურის სამინისტრო, ვისაც ეს ეხება და არც არავინ“.

კავშირის დამფუძნებლის აზრით, პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი ქართული საციკო ხელოვნების შემდგომი განვითარება-პოპულარიზაციისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ: „ეს კანონი თუ არ მიიღეს არაფერი ეშველება ქართულ საციკო ხელოვნებას. ქართული დასი არსებობს, რომელსაც წელს 60 წლის იუბილე უსრულდება. ჩვენ მივმართეთ წინა მთავრობასაც და დღევანდელსაც. ვერაფერს მივალნივთ. შარშან თბილისობაზე უნდა მიგველო მონაწილეობა. თბილისობის რეჟისორი იყო პაატა ციკოლია. მან დაგვიბარა, წარვუდგინეთ ხარჯთაღრიცხვა და ორი დღით ადრე ამოგვიღეს სიიდან. ვისი გადაწყვეტილებით მოხდა ეს, უცნობია, არ გვეუბნებიან“.

„ინტერპრესნიუსი“